

სახალხო ბაზარი

სუკათებიანი ჟამათება

გაზეთის № 506

ღამასების № 89

კვირა, 22 იანვარი 1912 წ.



ნ უ ც ა
(„ალღუმია“)



ნათო გაბუნია და მარიამ
საფაროვი-აბაშიძისა.



ვასო აბაშიძე და ზ. საფაროვი-
აბაშიძისა 1879 წ.

ღ ა ლ ი

ღრამა 3 მოქმედებად.

მოქმედანი პირნი:

- კატერინა ხაფანგოვი, ორმოცდა ხუთის წლისა;
- მაგდა ამერისა, ოცდა ხუთის წლისა;
- ნინო, ოცის წლისა;
- ლიუბა, ოცდა ხუთის წლისა;
- თალიკო, თოთხმეტის წლისა;
- დავითი თავადიძე, ოცდა ორის წლისა;
- ვლასტინი, ხნეირი გავლენიანი მოხელე;
- ივანიკა, თვრამეტის წლისა;
- მიხა, ოცის წლისა;
- ქიტა, მამა თალიკოსი;
- ელისაბედი, გათხოვილი და დავითისა;
- კონა, ოცდა ხუთის წლისა, შერყეული ქალი გლეხურ ჩოხა ახალუხში;
- სოფიო, სოფლის დედაკაცი;
- მართა, სოფლის დედაკაცი;
- გიორგი, ექიმი ყმაწვილი კაცი;
- ვანო აზნაუროვი, ყმაწვილი კაცი;
- რაჟდენა, ნათლია მიხასი, მეწისქვილე დავითისა, ნაცვალი;
- ბოქაული;
- გამომძიებელი;
- სამი ჩაფარი;

მოქმედება პირველი.

სცენა: პირველი მოქმედება სწარმოებს ქალაქის მდინარის ქუჩაზე შუა სართულის მოზრდილ ოთახში, რომელსაც აქვს სამი კარები. მოწყობილია ქართულ-ევროპულად. ქუჩის ფანჯარასთან სდგას დიდი გალია, თუთიყუშით.

გამოსვლა 1.

ხმა მომღერლისა, თუთიყუში და მაგდა.

ხმა მომღ. (ზემო სართულიდან მოისმის).

„ოდეს მეწვევა სევდა დამწველი და მიღრნის გულ-ღვიძლს, ვით მგესლი გველი,— შენი სახე მაქვს მაშინ მხსნელ ფარად, შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი მარად!“..

თუთიყ. (როცა სიმღერის ხმა მისწყდება). მაგდა, მაგდა! მოვიდა, მოვიდა... მაკოცე!..

მაგდა. (მივა მწარე ღიმილითა). შენც მე დამცინი?... მაგრამ... ერთხელ ხომ გაგანთავისუფლეს? შენ კი ისევ დაბრუნდი... თავისუფლებას გალია ამაჯობინე... (ჩაფიქრებული). ნუ თუ მეც დავბრუნდებოდი?..

თუთიყ. მაკოცე, მაგდა, მაკოცე...

მაგდა. იქნებ შენ უკედ მოიქეცი?... „შეჩვეული ქირი სჯობიან შეუჩვეველს“... შენც შეჩვეული ხარ ამ გალიასა, მაგრამ მე რომ ვერ, ვერ შევეთვისე!..

თუთიყ. შაქარი, მაგდა, შაქარი.

მაგდა. (აძლევს შაქარსა). დიახ, აი, ასეთ ტკბილ შაქარს ხომ მინდორში, ტყეში ვერ იშოვი?..

გამოსვლა 2.

იგინივე და კატერინა.

კატერინა. (შემოსვლისათანავე). მაგდალინა, მანდ რას მისჩერებინარ, ქალო?! ეხლა, ხომ იცი, სტუმრების მოსვლის დროა? დღეს ჩვენი მფარველიც მოვა. დილას თავის კანცელარის (სარკეში თავს ისწორებს). კაბინეტში გიკითხა და შევპირდი. ვინძლო გაამხიარულო და ასიამოვნო. (გადახედავს). გაიგონე? უნდა ასიამოვნო... რაო, კიდევ მოგიარეს?..

მაგდა. მე დღეს არ შემიძლიან... ღონე აღარ შემწვეს...

კატერ. (გადახედავს). მაშ, წადი და ჩაი დალიე პუნშითა, ის მოგცემს ღონეს, ძალასაც მოგგვრის... მხოლოდ ღმერთი არ გაგიწყრეს და იმ ჩვენ მფარველს შამპანიურით არ

გაუმასპინძლდე... ხომ იცი, მე ამის ფულს ვერ გამოვართმევ. თუ თითონ მოითხოვა, რა გაეწყობა. აი, ის ბაქოელი თუ მოვიდა, იმას-კი, რაც ძვირფასი სასმელი გვაქვს, ის მოათხოვნიე... მაგრამ იმას სხვას მივანდობ, თორემ შენ...

მაგდა. არც ის და არც სხვა... გეუბნებით დღეს მე არ შემიძლიან მეთქი...

კატერ. (მკაცრად) გაგიჟდი?..

მაგდა. კატერინა ანდრევენა!.. (ღუმილი. დაბნეულად) მართალია, სასტიკია შენი ზომები... ყველაფერი შეგიძლიან... შენ ხომ ჩემი ბატონი და მბრძანებელი ხარ... მეც უბატონო...

კატერ. აი, სულელი, ერთი მითხარი, შენი ბატონი და მბრძანებელი რაში ვიქნები? მე ბატონი და მბრძანებელი კი არა, შენი მფარველი ვარ. მე რო არ ვიყო, ვინ იცის, ეხლა სად იქნებოდი...

მაგდა. (მწარე ღიმილით) ნუ თუ?

კატერ. მაშ, ვინ იცის ეხლა სად იქნებოდი. მაგრამ! განა შენ სიკეთეს დაინახავ?

მაგდა. სიკეთე!.. ციხიდან დამიხსენ და აქ შემომავდე...

კატერ. მე რომ იქ არ შეგსწრებოდი, ხომ ციხეში იჯდებოდი? მაგრამ ციხესაც არ გაკმარებდნენ...

მაგდა. იქ მერჩივნა. სადაც უნდა ყოფილიყო, ოღონდ...

კატერ. მერე, შენ არ შემეხვეწე? შენ არ მემუღარებოდი აქედან დამიხსენი და...

მაგდა. (მწარის ღიმილითა). დამიხსენი და მეორე დღეს-კი მიმეციდე...

კატერ. აბა! მე-კი არა, თვით შენმა მდგომარეობამა. კარგად იცი, მე იმდენი არა მქონდა, რომ თავდებად დაგდგომოდი, ის-კი თავდებობისათვის სასყიდელს ითხოვდა... შენი ქმრის დაღუპვა შენი ბრალია, იმიტომ, რომ ჯიუტი ხარ!..

მაგდა. როგორ!..

კატერ. ჰო, ჰო!.. ჯიუტობა ქალს არა ჰმართებს. შენ რომ იმ ბოქაულს არ გასჯიუტებოდი...

მაგდა. როგორ? მე, ქმრიანი, რომელსაც...

კატერ. რაუყოთ მერე! იმ ბოქაულსაც უყვარდი. შენ თვითონ არა სთქვი, სიყვარულს მეფიცებოდაო... ჰო და შენ-კი შეგეძლო არც ის გაგებელა. ამას მოახერხებდი. მაშინ ის შენი ქმრის თანაშემწის დაბეზლებას ყურადღებას არ მიაქცევდა...

მაგდა. (ზიზღით) როგორ, მე გავმხდარიყავი იმის საყვარელი, როდესაც ჩემი ქმარი მიყვარდა?.. მაგრამ, ეჰ, ვის ველაპარაკები!..

კატერ. ხშირად საიდუმლო უნამუსობა სჯობიან... შენ კი ჯიუტობ... აი, ის მფარველი რომ გააჯავრო, შესაძლოა ცუდი საქმე დაგმართოს. კანონით იმას შეუძლიან, ყვითელი ბილეთი მოაცემინოს. მერე, მერე?..

მაგდა. (სასოწარკვეთილი). ოხ, დაწყველილო ბორკილო!..

კატერ. ჰო, და შენ-კი მაგას აცდენილი ხარ... მერე ვისი წყალობითა? ჩვენი მფარველის წყალობითა...

მაგდა. (დაეშვება სავარძელში). მფარველი... მფარველი!..

გამოსვლა 3.

იგინივე და ლიუბა.

ლიუბა. (შემოსვლისათანავე). გამარჯობათ! როგორა ხართ? (პირზე ჰკოცნის. შემდეგ სარკეში იყურება). რატომ ვერ მოწყენილნი ხართ, თითქო დღეს არავის მოვლითო? დღეს არ მოვა ის „მფარველი“?.. კატერინა ანდრევენა, მოდი დღეს მე დამისაკუთრეთ? დღეს მე ვიქნები მფარველის გამამხიარულებელი.

კატერ. ოჰო, შენ ძალიან აიწიე!..

ლიუბა. ვითომ გგონიათ არ მოვეწონო? აბა მიყურეთ? განა ლამაზი არა ვარ? ან ტანისამოსი არ მაცვია გემოვნებაზე? გავაბრუებ, გავაბრუებ!..

კატერ. შენ ვინც გააბრუე, ისიც გეყოფა... არა, ერთი მითხარი, როგორ გაბედე და წაპყევი თუთუნოვის შვილს ვერის ბაღში? განა არ იცი, რომ ჩემს ნება დაუოთველად არ უნდა გაჰყოლოდი?

ლიუბა. ვითომ რატომაო?

კატერ. რატომაო?!



ლიუბა. მე ხომ მაგდა... მე ხომ ვიცნობ იმასა...

კატერ. (მორბილებული). მერე სად გაიცანი?...
ლიუბა. თქვენთან. ამისათვისაც საკომისიო ხუთი მანეთი (ჩულქის ყელიდან ამოიღებს) მოგართვი.

კატერ. (კმაყოფილი). მაინც უჩემოდ არ უნდა წასულიყავი. მე რომ იქა ვყოფილიყავი, ლეკურისა და დავლულის თამაშობის ნებას არ მოგცემდი.

ლიუბა. რატომ, თუ კი ვიცი და მიყვარს თამაში?
კატერ. აი, იმიტომ, რომ რაც თავ დაქერილი და ნაზი იქნები, მით უფრო მაგისთანა მდიდრებს მოიზიდავ.

მაგდა. (ზიზლით გადაჰხედავს). ღმერთო!...
კატერ. (განაგრძობს). ამასთანავე მთელი ღამეების გათენებას უნდა ერიდო. ეს მეტად ძვირად ღირს... ბაღში ღამეების გათენება სახეს დაგიქნობს.

მაგდა. ვაი ჩვენი ბრლი...
ლიუბა. მეც სწორედ იმიტომ მეძინა დღე და ღამე. ეხლა-კი არაფერი არ მეტყობა. პირიქით...

(ყრუდ მოისმის ხმა სიმღერისა იმავე კილოთი, ხოლო სიტყვები ვერ ირკვევა).
ლიუბა. (გატაცებული). რა მშვენივრად მღერის! ნეტავი ეხლა იმასთან მამყოფა.

მაგდა. (მწარედ გაიღიმებს). უშენოდაც არა უჭირსრა, უეჭველია ვისმეს უმღერის.
ლიუბა. შენ ხომ არ გიმღერის?... (ზარის ხმა).

კატერ. (ზარის ხმაზე). კარგიათ! (დაფაცურდება). ზარის ხმაა. ვგონებ ვილაცაა. წამოდი ჩემთან, ლიუბა. მაგდალინა! შედი და იასამანის ზედა ტანის კაბა ჩაიცვი. თმები-კი შუა გაყოფილი „კვალერიად“ დაიყენე, მე ვარვარასთან გადავალ პატარა ხანს და მალე დავბრუნდები. თუ მფარველი მოვიდეს, მიიღე. (გავა).

ლიუბა. სწორედ მშურს შენი მდგომარეობა.
მაგდა. ნეტავი შენი!..

ლიუბა. მაშ არა და შენსავით მობუზულ ვარიასეებ ვივლი, სადაც ბიბილა მამალი, მეც მის ლაბუა დედალი! ალბად მე ამ ცხოვრებისთვისა ვარ გაჩენილი. მე ვაჟად უნდა გავეჩინე დედა-ჩემსა. (უღიტიანებს). აბა მაშინ ნახავდი, როგორ დავწვავდი და დავხრაკავდი შენისთანა აბუზულ ქოჩორა დედლებსა?

მაგდა. მერე, როდემდის?... ნუ თუ როდისმე მყუდრო ოჯახი არ მოგნატრებია?
ლიუბა. (უცბად დასვედიანდება). მყუდრო ოჯახი?... არა, გაჰქრა... (ჩვეულებრივ პაუზის შემდეგ). მე ამისათვის აღარ ვარგვიარ... (გართული). დღე ძილი, ღამე გართობა!.. (აღტაცებული თავდავიწყებითა). ღამე მთვარიანი, ამწვანებულ ბაღის ფარდულში, გვერდზე ლამაზი და იმასთანავე მდიდარი ყმაწვილი კაცები, რომლებიც ჩემის ეშხით იწვიან, ამასთან ღვინისაგანაც თვალეგ აწიპწიპებულნი მვარშიყებიან, მბრწყინვალე მზეს მადარებენ. ხოლო ამ დროს თარის ან და ქიანურის ხმა გიტაცებს მალლა ჰაერში და გადაჰყავხარ ფრთებ შესხმული სამოთხეში...

მაგდა. ჯოჯოხეთში, ლიუბა, ჯოჯოხეთში...
ლიუბა. რა უყოთ, ჩემო მაგდა! ადამ და ევას ბოლოც ეგ იყო, როცა იგემეს ცხოვრების სიტკბო. მეც ევას შვილი ვარ...

მაგდა. მერე, სიბერე აღარ გაგონდება?
ლიუბა. რა უყოთ. მერე მეც მაჰანკლობას მივყოფ ხელსა...
კატერ. (შიგნიდგანა). ლიუბა!

გამოსვლა 4.

მაგდა, ლიუბა და თალიკო.

თალიკო. (შემოდის. ლიუბას). ქალბატონი გინმობთ.
ლიუბა. (გადის).

მაგდა. სადღაა სირცხვილი... მაგრამ მე რითი ვარ იმაზე უკეთესი? ეგ სიამოვნებით მაინც სცურავს ამ მორევში. ხოლო მე, მე-კი...

თალიკო. ქალბატონო მაგდა! მამაჩემი ჩამოვიდა. თუ გნებავთ, ნახეთ.

მაგდა. ძალიან კარგი, ჩემო თალიკო, შემოვიდეს. შენ-კი ჩაი გამიკეთე, შეიტანე ჩემს ოთახში, ლამფაც ამინთე და იქ იყავი, სანამ მე მოვიდოდე.

თალიკო. (გაუბედავად). ქალბატონო მაგდა! ხომ არაფერი მიწყენინებია თქვენთვის!.. მამაჩემი... მამას-კი ნუ ეტყვით, თქვენი ქირიმე, თორემა ჩემი დედინაცვალი გაიგებს და...
მაგდა. არა, ჩემო თალიკო, ნუ გეშინიან, მე სულ სხვა საქმე მაქვს მამაშენთან.

თალიკო. (გახარებული). ეხლავე გაახლებათ. (გადის).

გამოსვლა 5.

მაგდა და ქიტა.

ქიტა. (შემოდის) ქალბატონი მაგდა აღდგერძელა ღმერთმა!
მაგდა. გაგიმარჯოს ჩემო ქიტა. (ხელს ართმევს). დაჯექი.

ქიტა. ასეც არა მიჭირსრა, შენი ქირიმე. (კარებთან სკამზე ჩამოჯდება).

მაგდა. (სიჩუმის შემდეგ) შენ უნდა უსათუოდ თალიკო წაიყვანო სოფელში. მამის ოჯახში ურჩევნია.

ქიტა. რათა, შენი ქირიმე, იქნება გაწყენინათ რამე?
მაგდა. სრულიადაც არაფერი, პირიქით, ძალიან გამგონე და მასიამოვნებელია, ყოველისფერიც მალე შეისწავლა, წერა-კითხვაც იცის.

ქიტა. ღმერთმა გადღეგრძელოთ. მაგან თქვენი სახე უნდა ილოცოს.

მაგდა. ახლა მოღერდა, ჩემო ქიტა, და არ არის კარგი მაგის აქ დარჩენა.

ქიტა. ამაზე უკეთეს ადგილას სადღა წავიყვან?
მაგდა. სულაც ნურსად დააყენებ. მე გირჩევ წაიყვანო, სოფელში გყავდეს. ოჯახში ჩვეულებრივ მ-იხმარე, შემდეგ გაათხოვე და ნამუსიანი ჩააბარე სასიძოსა.

ქიტა. განა თქვენგან-კი არ შეუძლიან ნამუსიანად გათხოვება?
მაგდა. არა, ჩემო ქიტა! აქ ვერ დაიცვავს თალიკო თავის ნამუსს, როგორც სოფელში თავის ოჯახში.

ქიტა. (შეშინებული). იქნება რამე შეამჩნიეთ?...
მაგდა. დამშვიდდი. გეუბნები, ყოველისფრით კარგი და პატროსანი ხასიათისაა შენი ქალი თალიკო. მაგრამ აქ... ქალაქ ადგილას ძნელია ქალისთვის...

ქიტა. თქვენა და დიდ ქალბატონის კალთის ქვეშ არა უჭირსრა, შენი ქირიმე.
მაგდა. ეხ, ჩემო ქიტა, შენ არ იცი, თუ აქ... (გადაისხვაფერებს). ამ ქალაქ ადგილას რა ძნელია ყმაწვილ ქალისათვის თავის დაჭერა და მერე ისიც ლამაზისათვის?... ეს მორთული ტანსაცმელი, რომელიც თვალ-წარმტაცი და მაცდურია ადამიანისათვის, როგორ იზიდავს ცხოვრების მორევში. ეს ყოველი... (გადასხვაფერებს) მომხიბლაფი მალაზიები, რომლებშიაც გამოფენილია ყოველისფერი ქალისათვის სამაცდურო... აი, ეს ბეჭდები და ბრჭყვიალა თვალეები ისე იტაცებს მაყურებელს, რომ აბრუებს და თავის თავს ავიწყებს.. სურვილი ეღვიძება ამის შეძენისა, ამისათვის საჭიროა: ფული, ქონება... (წამოდგება). ქალს-კი რა გააჩნია, თავის ნამუსის გარდა?... ისიც იძენს იმათ და ხდება ჩვენისთანა... შესაძლოა თალაც ჩვენისთანა გახდეს...

ქიტა. (ვერ მიუხვდება). რასა ბრძანებ, შენიქირიმე! სად შეიძლება თქვენოდნობა, თუ კი ანბანის მაჩვენებელი მაინც გახდება, მაშინ ჩვენ სოფელში მაგას ქალი არ ემჯობინება. ამისათვისაცა გთხოვ, შენი ქირიმე, რომ კიდევ იყვეს ერთი წელიწადი. იყვეს თქვენთან, როგორც მასწავლებელთანა...

მაგდა. მასწავლებელი?... (მწარედ გაიღიმებს). დიახ, მე მასწავლებელი... მაგრამ მე რომ აქ აღარ დავრჩები?... შეიძლება მე ისეთს ადგილას გადავიდე, რომა... არა, ჩემო ქიტა, რაც იცის, ისიც ეყოფა. წაიყვანე სოფელში.

ქიტა. მე-კი ძან მინდოდა...
მაგდა. (მოუთმენლად). ჰე, ჩემო ქიტა! სოფელი-კი ბევრად ბედნიერია ქალაქზედა... იქ უბრალო ჩითებში გამოხვევა სჯობიან აქაურს აბრეშუმეულს ტანსაცმელს, რომელიც ჰფარავს ჩვენს... იქ ნამუსიან ოჯახში, ღარიბ ქერ ქვეშ და თანასწორ მესობელთა შორის ცხოვრება სჯობიან აქაურს მდიდრულ ოთახს, რომელიც გაუღვინთილია...

ქიტა. კარგა გამაგებინე, შენი ქირიმე, რასა ბრძანებთ?...
მაგდა. (მწარედ გაიღიმებს). დიახ, მე მასწავლებელი... მაგრამ მე რომ აქ აღარ დავრჩები?... შეიძლება მე ისეთს ადგილას გადავიდე, რომა... არა, ჩემო ქიტა, რაც იცის, ისიც ეყოფა. წაიყვანე სოფელში.

მ. მ. საფაროვ-აბაშიძე



ნატოლია (ახათაბალია)



ლუსია (ორ-ბოლი)



მ. საფაროვ-აბაშიძისა
1888 წ.



მ. საფაროვ-აბაშიძის ანტიკა.
პირველი რიგი მარცხნიდან მარჯვნივ
ქვაძე, სუკიასვი, კანდელაკი, მამაკაშვი
როვისა, პარ
მეორე რიგი: რჩეულოვისა, შათირიშვი
მ. საფაროვ-აბაშიძისა, ვლ. ალექ
მესამე რიგი: ვალუბტაძე (სუფლიორ)

ის ეუბიჯეის გამო



ოველია („ჰამლეტი“)



ვახოში („სამშობლო“)



ზა მ. შუთაისი 1899 წ.

ამაზიშვილი, ჯაფარიძე, ბოლო-
საფაროვი შ., მკერავი, საფა-
ხერი.

კ., ბარბარე ავალიშვილი,
მესხიშვილი, გამყრელიძისა.
ამყრელიძე ვ., მკედლიშვილი ივ.



მ. საფაროვ-აბაშიძისა
(ბოლო დროს გადაღებული)

მაგდა. (გულ ახდით). იმასა, ჩემო ქიტა, რომ შენ ვერ იცნობ ამ ოჯახის ქალბატონსა, ვერც მე... ეს ტანისამოსი ჩემში ჰფარავს და ვერ ამჩნევ შენ... და ამითი ხართ თქვენ ბედნიერნი, რომ თქვენი პატიოსნება და გულუბეჯერებლობა არ ამჩნევს ჩვენს უპატიოსნებასა...

ქიტა. (შეძრწუნებული). კმარა, შენი ქირიმე, ნულარ გამაგებინებთ...

მაგდა. მაშ გთხოვ, ჩემო ქიტა, მალე მოაშორო აქაურობას, არსად არ დააყენო და სოფელში წაიყვანე. აქ მაგას უბედურება მოეღოს. ამ უბედურებისაგან-კი უნდა აცდინოს თვით მზრუნველმა, ვიდრემ თვით ქალი შესძლებს...

ქიტა. (შეფიქრიანებული). მერე, ნეტა ის ორი თუმანი მაინც არ გამომერთო!..

მაგდა. (წაიძრობს ბეჭედს). აი, ჩემო ქიტა! ეს ბეჭედი წაიღე, გაჰყიდე და ფული დაუბრუნე ქალბატონ კატერინა ანდრეევანასა, ხოლო ამ ორ დღეში უსათუოდ წაიყვანე თალიკო. დღეს თუ მოახერხო, უკეთესი იქნება. მანამ-კი ნუ გეშინიან, მე ვარ მისი თვალ-ყურის მგდებელი. (ზარის ხმა). მაშ წადი და... ყოველი, ჩემო ქიტა, რაც აქ ეხლა გაიგონე, საიდუმლოდ შეინახე...

ქიტა. მერე ენა არ მომტყდება, აი, ღვთის მშობელი იყოს შენი მფარველი ისე, როგორც შენ ჩემ თალიკოსათვისა. აი, ღმერთმა... (სიტყვას არ დაასრულებს და გადის).

გამოსვლა 6.

მაგდა და თალიკო.

თალიკო. (შემოდის). ქალბატონო მაგდა, ჩაი გაგიცივდათ.

მაგდა. (გამოერკვევა). ივანიკა ხომ არ დაბრუნებულია?

თალიკო. არა, არა გხლებიათ. ნინო გელოდებათ ოთახში.

მაგდა. ივანიკა რომ შემოვიდეს უსათუოდ ჩემთან მოვიდეს. (გადის).

გამოსვლა 7.

თალიკო და მახა.

მიხა. (შემოდის მარჯვენა კარებიდან).

თალიკო. საიდან შემოხვედი?

მიხა. საიდანა?! (მორცხვად). საიდანა?!..

თალიკო. ჰო, საიდანა?

მიხა. (გაიღიმებს). აი, ამ კარებიდან.

თალიკო. (ცდილობს არ გაიღიმოს). რისთვის მოსულხარ! ვინ გინდა!

მიხა. (დაბნეულად). რისთვის მოესულვარ?!.. ვინ მინდა?!..

თალიკო. რაქნა, რა დაგემართა? ჰო, ვინ გინდა?!.. (წერილის შეამჩნევს და გამოსტაცებს). ეს... (კითხულობს). „მაგდას. საკუთრივ მაგდას“... (მიხას). გადავცე მაგდასა?

მიხა. ჰო, ბატონმა გამომატანა.

თალიკო. კარგი, მე გადავცემ...

მიხა. შენ გადასცემ?..

თალ. ჰო, ჰო, მე გადავცემ... შენ რა გქვიან?

მიხა. მევე?... მიხა!

თალ. სადაური ხარ?..

მიხა. მევე?... ტყისპირელი... მაშ, გადასცემ მაგას, ჰაა?

თალიკო. (უკმაყოფილოდ გადახედავს). კარგი, ჰო, გადავცემ... მიდიხარ?..

მიხა. (მობრუნდება) ჰოდე. მერე გინდა რამე მკითხო?..

თალ. (თავისთვის). თუ გკითხე, შენმა სიცოცხლემ, მალე-კი მომცემ პასუხსა... (მიხასა). პასუხი ხომ არ დაუბარებია?

მიხა. არ ვიცი. ეს-კი მითხრა: ან იქ გოგოა იმას მიეციო, ან და თვით ქალბატონ მაგდასაო.

თალ. კარგი, კარგი. (გასვლისას). ძლივს არ დაილაპარაკა ადამიანურად?

მიხა. წავიდე? ჰა?... ჰაი დედასა, რა გოგოა და?... სწორედ ჩემი საოჯახეა, მაგრამა... ვინ იცის, ქალაქში ნამყოფი!.. (გადის).

გამოსვლა 8.

ივანიკა და თალიკო.

ივანიკა. (შემოვა ანთებული ლამფით. შემოსვლისათანავე თალიკოს ყელში უჩქმეტს). ჩემო საკნატუნებელო.

თალიკო. მეხი-კი დაგაყარე!..

ივან. რაო, ახლა, შენ აქანეი პირველი ხარ თუ?!.. გოგო, რამტოლა წლის ხარ?..

თალ. რაში გეკითხება?!

ივან. ისთე... (დააქკერდება). მარა, ქე დროა შენი... სანამ ქალბატონი ისარგებლებდეს... (უღიტინებს ძუძუებზე). რავალი კარგები გაქვს ე ვაშლები.

თალ. თფუ!.. (მიაფურთხებს და სცდილობს გასვლას; მაგრამ ივანიკა ჩაბლუქავს მაგრა). ქალბატონო, ქალბატონო!..

ივან. წვეიდენ ყველანი... სანამ დაბრუნდებიან ქე ვისიამოვნოთ...

თალ. ქალბატონო მაგდა! შენი ქირიმე, მიშველე...

გამოსვლა 9.

ივანიკე და მაგდა.

მაგდა. (გამოსვლისათანავე). რა იყო?... რას სჩადი შე უსინდისო!.. (ივანიკა გაუშვებს თალიკოსა, რომელიც მაგდას მიეკრობა). გრცხვენოდეს, სხვა აღარაფრის თქმა შემიძლიან!

ივან. (დაბნეულად). მე...

მაგდა. გასწი, წადი და მეორედ აღარ გაბედო!

ივან. ქალბატონო... მე... (გადის).

მაგდა. ვაი სირცხვილო... (თალიკოსა). გასწი ჩემს ოთახში და უთხარ ნინოს აქ გამოვიდეს, შენ-კი ჩემს ოთახში დარჩი.

თალიკო. ქალბატონო, მეშინიან...

მაგდა. ნუ გეშინიან. ეხლა ვეღარ გაბედავს. (თალიკო გადის). საბრალო!..

გამოსვლა 10.

მაგდა და ნინო.

ნინო. (გამოსვლისათანავე). რა ყვირილი იყო?

მაგდა. რა და უბედურება. ამ დაწყევლილ სახლში სხვა რა უნდა მოხდეს თუ არა ქალის გაუბედურება? ივანიკას უნდოდა ძალა ეხმარა თალიკოზე... ღმერთო ჩემო, რა სიმხეცეა! ნუ თუ ყველა ამას ბოლო არ უნდა უჩანდეს!.. როდემდის, როდემდის უნდა გაგრძელდეს ასეთი ცხოვრება?

ნინო. სანამ თანასწორობა არ დამყარდება.

მაგდა. მერე რითი, რა საშუალებითა?..

ნინო. ერთ სულოვნებითა და წრფელი სიყვარულითა.

მაგდა. (უიმედოთ). მწა!.. მედა ტარიელს აკი გვიყვარდა ერთი სულით და გულით? მაგრამ ძალმომრეობამ, უკულმართობამ და გარყვნილობამ გაგვაშორა ერთმანეთს და ამ უბედურებაში ჩამაგდო.

ნინო. მართალია... მხოლოდ შხამიანი გველი შხამავს... ადამიანიცა... როგორც მე დამშხამა... გამყვრნა...

მაგდა. (ყურადღებით). ნინო, ეგ ხომ სინანულის ხმა? თუ ეგრეა, რამ ჩავაგდო ამ დღეში?

ნინო. ჩემმა უბედურებამა.

მაგდა. მხოლოდ შენ და უნებლიედ?..

ნინო. ღმერთმა ხომ იცის...

მაგდა. მაინც?..


ნინო. ერთხელ შუა ღამისას საიდუმლოდ პოლიცია მოვიდა სახლის გაჩხრეკის შემდეგ დედისა და ჩემი ერთადერთი მარჩენელი ძმა წაიყვანა. გაიარა ორმა კვირამ და არც იმასთან მიგვაკარეს, არც იმას გვეუბნებოდნენ, თუ სადა ჰყვანდათ. თურმე-კი ციხეში ჰყოლოდათ და საიდუმლო გამოძიებასაც აწარმოებდნენ. დედაჩემი შეშლილივით იყო და მეც ჩემი თავისა არა გამეგებოდარა. იმ დროს სასწავლებელს ვამთავრებდი, მაგრამ შევწყვიტე სიარული...

მაგდა. რაღა იმისთვის გეცალა!..

ნინო. იმის კვალს დავძებდი. ორი კვირის შემდეგ ხმა დავარდა, საქმე დამთავრდა და ციმბირში ჰგზავნიანო. ყველას ელდა გვეცა. ერთ დღეს სახლში მოქანცული დავბრუნდი და დედა-ჩემმა მახარა: „არ იქა, გასწი ეხლავე, ამა და ამ ქალთანაო, იმას შეუძლიან შენი ძმის დახსნაო“. მეც გამოვედი იმ ბარათით და შემოველ...

მაგდა. აქ, კატერინასთა...

ნინო. ამ ჯოჯოხეთის ტარტაროზთანა. ჯერ იმედებით დამათბირა და როგორც კი შებინდა შემოვიდა ჩვენივე მეზობლად მყოფი ფიცხოვი. იმის შეხვედრამ ცოტა არ იყოს შემაშფოთა, რადგან მერაშიყებოდა. დავაპირე კი-



ტ. ო. ო. მ. ი. ა. ნ. ც. ი.

ცნობილი კოლხეთელი, რომელიც ამას წინაღობისში ჩამოვიდა, მოსკოვის სახალხო საკოლხეთო ბანკის განყოფილების დასაარსებლად.

დღეც წასვლა, მაგრამ არ გამომიშვეს და დამათათბირეს. მიმიწვია ჩაის შემდეგ ტკბილეულობაზედა. ამ ტკბილეულობას ჩემდა საუბედუროდ მოჰყვა რაღაცა ტკბილი სასმელი, არ მინდოდა დამელია, მაგრამ...

მაგდა. მაგრამ, ჯერ გემო გაგაღებინეს...

ნინო. თითქმის ერთი ჭიქაც არ დამიღვია. მაგრამ მომეკიდა და ძალღონეც მომიღუნა. ძილი მომერია. გამიხმო კატერინამ, აი, იმ საწოლ ოთახში და მიჩია წამოწოლა. მე გაბრუებული ვიყავი: ძმის დარღით, მის განთავისუფლების იმედით, ტკბილ სასმელით და ცოტა არ იყვეს იმ ყმაწვილის ჩვენ ოჯახის თანაგრძობით... ძილი მომივიდა, ხოლო არ მეძინებოდა. მოღუნებული მოუსვენრად ვტოკავდი. დიდმა ხანმა არ გაიარა, რომ შემოვიდა ის ყმაწვილი, მომიხლოვდა. გველ ნაკბენივით წამოვარდი...

მაგდა. (ღიმილით). იმედს გაძლევდა: აღედგინა შენი უმანკობა?

ნინო. (გულის ტკივილით). ეჰ, მაგდა, ნუ დამცინი...

მაგდა. არა ჩემო ნინო! დაგცინო და მე?.. მე არ შემფერის შენზე ქვის აღება... მერე ძმა მაინც გაგზავნეს?

ნინო. არა, ორი თვის შემდეგ გამოუშვეს, შეცდომით მოგვივიდაო. ვინ იცის, იქნებ იმისთვის რომ მე ეს დამმართოდა...

მაგდა. უთუოდ. ბევრი რამა ხდება ჩვენდა გასაუბედურებლად.

ნინო. ყოველმა ჩვენს ოჯახში თავისი მდგომარეობა და ელფერი მიიღო. მეც სასწავლებელი, როგორც იყო, დავასრულე; მაგრამ ჩემი მდგომარეობა მაინც არ შეიცვალა. ამ ჯოჯოხეთს ვერ მოვცილდი... და ვგონებ მხოლოდ სიკვდილი-ღა თუ მიხსნის ამისაგან.

მაგდა. არა, სიკვდილი ვერას გიშველის. უნდა განვშორდე აქაურობას, ნუ გინდა ასეთი ცხოვრება...

ნინო. ლუკმა პური რომ მენატრებოდეს, მაინც განვშორდები. მხოლოდ ის სურათი, სურათი რომ მაგონდება...

მაგდა. სურათი იმ ოთახში გადაღებული? შენ წევხარ გულგაგედილი და ისიც...

ნინო. ის, ის. მერე სადა ნახე?

მაგდა. შემთხვევით ჩამივარდა ხელში. კატერინა ანდრეევანს შეუმიჩნევლადა. დაგიბრუნებ, თუ მომცემ პირობას, რომ ამ ცხოვრებას...

ნინო. გაძლევ ჩემს პატოსანს ადამიანურს სიტყვას, რომ არამც თუ აქაურობას, ხვალვე განვშორდები ამ დაწყვეტილ მხარესაც.

მაგდა. (სიხარულით). აჰა, დაიქი და წადი. შენმა ფიცმა-კი დაგიბრუნოს ადამიანური პატოსანება.

ნინო. ჩემო კარგო (მოეხვევა. ცოტა ხნის შემდეგ) მერე შენ? შენ რაღა გეშველებ?

მაგდა. წადი და მომიკითხე მაშინ, როდესაც მეც განვშორდები ამ ცხოვრებას.

ნინო. მშვიდობით, (გადაეხვევა). ნახვამდის... (მოიხედება). ნახვამდის... (გადის).

გამოსვლა 11.

მაგდა. შემდეგ ლიუბა.

მაგდა. (ნინოს გაადევნებს თვალს, ამოიხრებს). ეჰ! ესეც განთავისუფლდა!

ხმა სიმღერისა. (ოდნავ მიძიმედ ისმის).

...მხოლოდ შენ ერთს, მხოლოდ შენ ერთს...

მაგდა. დიახ, მხოლოდ ერთს, მაგრამ... მერე სად არის სად... ნუ თუ მომატყუებს?... (ზარის ხმა. სიხარულით შეკრთება. გაინახება. შემდეგ უიმედოდ.) არა, ის არ არის.

ლიუბა. (შემოიხედავს და კარებიდან ეტყვის) ეკატერინა და ვლასტოვი მოდიან. ქუჩაში კარებთან დაგვხვდა. გინაროდეს, მაგდა... (კარებს გაიხურავს).

მაგდა. სიამრგნებით დაგიტომოფ.

გამოსვლა 12.

მაგდა და კატერინა.

კატერინა. (შემოდის) მაგდა, ნინო არ მოსულა?

მაგდა. (კარებში გაჩერდება). იყო და წავიდა, ავათა ვარო...

კატერ. დასწყევლოს ღმერთმა! რა დროს ავადმყოფობაა! ეხლა იმ ბაქოელს რაღა უყო?... (შეხედავს.) შენ რაღა დაგმართვია? მეფიცებით? რატომ სოსანი კაბა არ ჩაიცვია?!

მაგდა. იმიტომ, რომ ეს ნიშანია ჩემის ავადმყოფობისა...

კატერ. რაო! რას მიჰქარავ?... ესე ხშირად ავადმყოფობა?

მაგდა. მერე, ავადმყოფობა ჩემს ხელთ არის? (გადის.)

კატერ. (მკაცრად.) შენ!.. მაგრამ მერე მოგელაპარაკები... ლიუბა! შენ მოემზადე იმის დასახვედრად.

გამოსვლა 13.

კატერინა, ლიუბა და ვლასტოვი.

ვლასტოვი. (შემოიხედება მარჯვენა კარებიდან). ნებას მიბოძებთ?...

კატერ. (დაფაცურებით მიეგება.) მობრძანდით, ჩვენო მფარველო, მობრძანდით... წარმომიდგენია თქვენთვის ლიუბა. მაგდა თქვენთან ბოდიშს იხდის, ავად არის...

ვლასტ. (შეხედავს ტუჩების ტკბანურიითა.) ოო!... (მკლავს მოიმზადებს ლიუბას ხელის გასაყრელად) მაშ...

ლიუბა. (ხელს გაუყრის) წამობრძანდით. რომ იცოდეთ, რამდენი ხანია თქვენი გაცნობა მინდა...

ვლასტოვი. (გასვლისათანავე) უუუ!..

კატერინა. (ჩაფიქრდება) ეხლა იმ ბაქოელს რაღა უყო? ნეტა ელენა მაინც მოვიდეს. ბიქს გაუგზავნი.

(ზარის ხმა მოისმის) ნეტავი ვინ უნდა იყოს? (კარებს გაუღებს)

გამოსვლა 14.

კატერინა და დავითი.

დავითი. (შემოვა) ვახლავარ ეკატერინა ანდრეევანსა.

კატერინა. გაგიმარჯოს, კნიაზო, გაგიმარჯოს. სხვა, როგორ გიკითხოთ?

დავითი. გმადლობთ! მაგდა როგორ არის?

კატერ. ისე, ცოტათი შეუძლოთ არის.

დავით. (შეშინებული) როგორ, წევს?

კატერ. არა, ისე ქეიფზე არ არის.

დავით. (საფულიდან ფულს აძლევს) აი, როგორც გავრიგდით. გთხოვთ დამიწეროთ ბარათი, რომ მაგდას ვალი გასტუმრებულა

კატერ. ახლა, მაგისტანა ქალი და ორმოც თუმანში დავთმო?...

დავით. განა, მაგაზე მეტი შართებს?

კატერ. არა, მაგრამ... იცოდეთ, რომ მხოლოდ ერთს კაბას გავატან, რომლითაც მოვიდა...

დავით. კარგით, კარგით. მე თვითონ არა მსურს წამოიღოს. ამასაც ხვალვე უკან გამოგიგზავნით.

კატერ. მაშ ეხლავ დავუძახებ. დღესვე წაიყვანთ?

დავით. ეხლავ, ამ წუთას...

კატერ. ეტლსაც მოვაყვინებ.
დავით. გთხოვთ. საწერ-კალამიც, ქალღმერთიც გამოიმძღვანეთ... (კატერინა გადის).

გამოსვლა 15.

დავითი და მავდა.

მავდა. (სიხარულით გამოცრდებდა) სად არის სად?! (მადლობის ნიშნით მღელღარებით ხელს ართმევს) ნუ თუ აქედან.., არა, სიზმარა... ნუ თუ, შენ მიხსნი აი...

დავით. კარგია, კმარა, ჩემო მავდან! წადი და ჩაილაგე შენი წვრილმანი. გარდა ერთას კაბის, რომელიც გეცვა შემოსვლისას, აქ დასტოვე...

მავდა. მე მზათა ვარ აქედან დედით შობილა წავიდე...

დავ. ხვალ მაგასაც უკან გამოუგზავნით. შენ ჩემო მავდან, ყოველს ახალს ჩაიცვამ და ახალს ცხოვრებას დავიწყობთ.

მავდა. (რალაცა ყოყმანით.) დიახ... ახალის ცხოვრებით... მაგრამ დღე... (შესდგება დაუჭერს ხელს, მოატრიალებს და დააკეცვდება.) მავდა... დათიკო!... შენ ეს ახალი ცხოვრება ჩემთან — დღე დასპულს... გათვალისწინებული გაქვს! ჩემთან შეუღლება...

დავ. ამ წუთშივე.

მავდა. (ნაღვლიანად) ჰო, მაგრამ... ყველაფერი გათვალისწინებული გაქვს!.. შენი მშობლები, ან შენ, ჩემს წარსულს... ჩემს დას... ოჰ, თუკა ჩემდა უნებურად, დასმულს ღაღს არ შეეხები!..

დავ. მაგ ცხოვრების მიერ დასმულს დაღს, ვით კეთილის სახის ყვავილისაგან სიჩოფურეს, არად მივიმჩნევ. გაძლევ თავდებად პატიოსნებას, რომ ყოველივე ეგ წაშლილია ჩემს ხსოვნაში; დღეიდგან ჩვენი ცხოვრება ახალია, ვით ზამთრის შემდეგ მზის გამობრწყინვა და გაზაფხულის დაღება.

მავდა. მაშ წავიდეთ. შენი სიყვარული ვამყნოთ ჩემს ერდგულ გულზედ და ნაყოფი კეთილი ახალისათვის გამოვადებინოთ...

დავ. ახალ ცხოვრებისათვის... წადი და მოემზადე.

მავდა. ეხლავე აქ გავჩნდები. (გადის. დავითი თვალს გადავინებს).

გამოსვლა 16.

დავითი და კატერინა.

კატერ. (შემოდის და თან საწერ-კალამი შემოაქვს). თქვენ დასწერეთ და ხელს მოვაწერ.

დავ. (სწერს.) „ყოველი რაც-კი მერგებოდა მავდანა ამერი-საგანა სრულიად მივიღე და ამით ვანთავისუფლებ ჩემის მოვალეობისაგანა.“

კატერ. (ხელს აწერს.) „კატერინა ანდრეევნა ხაფანგოვა.“

გამოსვლა 17.

იგინივე და მავდა.

მავდა. (გამოვა.) მე მზათა ვარ...

დავ. ესეც ქალღმერთი განთავისუფლებისა... წავიდეთ. მშვიდობით.

კატ. (სახტად დარჩება, რომ ხელს არ ჩამოართმევს. მარტო.) ჰა, ჰა, ჰა!.. შენთვისაც ორი წლის ვადა მომიცია. უფრო გამოცდილი, ჩემო მავდა, ჩემთან დაბრუნდები.

ფ ა რ დ ა .

ქეორე მოქმედება

(პირველ მოქმედებიდან მეორემდე გადის ორი წელიწადი. სცენა: სოფელში, დავითის ეზო. მარჯვნივ მოსჩანს ეკლესია, ხოლო მის წინ წყარო ორ ლულიანი, მარცხნივ მოსჩანს სახლი და წინ ხეები, რომელსაც გარშემოვლებული აქვთ სკამები)

გამოსვლა 1.

სოფიო და მართა.

მართა (კოკას მიადგავს ლულასთან). საღამომშვიდობისა.

სოფ. ღმერთმა მშვიდობა მოქცეს, გენაცვალე.

მართა. კაცი არ დაგიბრუნდა ქალაქიდგანა?

სოფიო. კაცი-კი დაბრუნდა, გენაცვალე, მაგრამ მტერი დაგიბრუნდეს ხელ ცარიელი, როგორც ისინი დაბრუნდნენ...

მართა. ჰა, მაშ კიდევ ვერ მორიგებულან?

სოფ. რას მორიგდებოდნენ გენაცვალეთ: ისეთი ფასი დაუღვიათ, რომ ჩვენი სოფელი კი არა, სამი სოფელიც რომ დაგირავდეს, თურმე იმის ფას ვერ აუვლენ.

მართა. ჰა, მაშ დავრჩით კიდენ უტყეოთა?

სოფ. ტყეს ვილა ჩივის, გენაცვალე, ასე ამბობენ: გარდა ამ ტყისა; მთელი ჩვენი და ზენა სოფლის სახნავ-სათიბი მიწები ვილაცა ნაციმბირალს უყიდნიაო.

მართა. ჰა, მერე და სულ მთლად აქედგან აყრას ხომ არ გვიპირებენ?

სოფიო. (აჩვენებს პირდაპირ სახლზედა) მარტო ეს სახლი საყდრის მზრის მიწები და ვენახები და დაუტოვებია.

მართა. ჰა, და ნეტა ამოდენა ფული სად უნდა შეინახო?

მართა. აი, ცეცხლი კი გაუჩნდეს მაგათ, ცეცხლი! არა, გენაცვალეთ, ჩვენ ეხლა აქ აღარ გვედგომება.

სოფიო. ახია ჩვენზედ... „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენის თავითაო“...

გამოსვლა 2.

იგინივე და კონა.

კონა. (გამოდის ბუტბულით) დააქი ფეხი, გასრისე, ვერ მოასწროს შენი დაშხამვა... (შეამჩნევს წყაროსთან მდგომთა, გაშტერდება, შემდეგ გრძობა მოსული) ახლა ვერა ხედავ, რომ კოკა აგიმსია? შეიყარენით? თქვენ კი გაგენტხათ მიწაი?..

მართა. უი თვალებო!..

სოფიო. წყალი ხომ არა გწყურიან, კონა!?

კონა. წყალი შენ ცხვირა კაცს დააღვეინე მაქრის მაგიერ, ის გირჩევნიათ.

მართა. (სოფიოს თითქო ჩუმდა, ხოლო კონა ყურს მოჰკრავს) ჰა, დასწყევლოს ღმერთმა, ეს წყეული ხანდისხან რა დალაგებულ ჭკუაზეა ხოლმე?

კონა. (მოსვავს წყალს ლულიდგანა) დალაგებული შენი სახლი რომ შეინახო, ის გირჩევნიან...

მართა. კონა! მართალია, რომა მავდა შეგყვარებია?

კონა. (მიიხედავს სახლისაკენა) რა ღირსი ხართ იმის ხსენებისა!.. წადით, წადით! სახლში ბავშვები ტირიან. უა, უა, უა!.. (მიდის ვენახისაკენა) უა, უა... ლობიო... თუხ, თუხ, თუხ... ქოთანი გადმოდის, ქოთანი... გველი, გველი არ შეგიცურდეთ...

მართა. საბრალო, ხან რა კარგ ჭკუაზეა ხოლმე...

სოფიო. ყოველ საღამომობით დაიარება ქალბატონ მავდასთანა.

მართა. (შემოიღებს კოკას მხარზედა.) ჰა, გაიგე, ქალო, რომ თმებით უთრევია ბატონს მავდაი?

სოფიო. არ ვიცი, გენაცვალე. აგრე-კი ამბობენ. (შემოიღებს კოკასა.) რა ვიცი ძალიან-კი უყვარდა და. ეხლა მამულის გაყიდვამ თუ გადარია.

მართა. მა! (მიდიან ეკლესიის წინ გზისაკენა მარჯვნივ.) ჰა... (რალაცას წარჩურჩურებს.)

სოფიო. ჰოდე, გენაცვალე. ამბობენ: ცოდვიან სახლიდგან გამოუყვანიათო.

მართა. ჰა და მერე იცით, თურმე თალაც იმასთანა მდგარა...

სოფიო. რა ვიცი, გენაცვალე, ეხლა-კი ღვთისნიაჩია და აი, ის თალაც მეტი მორიდებული გოგოა. რა ვიცი, გენაცვალე, არა მგონია, ტყუილი იქნება.

მართა. ჰა, თურმე თქვენებიანთ მიხა ენიშნებაო.

სოფ. მერე რა ურიგო ბიჭია (გარედ.) ისიც ხომ ქალაქში ყოფილა, ბატონიანთას.

ს. გლახაშვილისა.

(შემდეგი იქნება)

